

საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

ღია ბანკინგი

ღია ბანკინგი ელექტრონულ კომერციაში:

ახალი შესაძლებლობები და

განვითარების პერსპექტივა

2026

სარჩევი

შესავალი	3
ღია ბანკინგით გადახდის ინიციირების პროცესი	4
საერთაშორისო გამოცდილება: ელექტრონული კომერციის გამოწვევები და ღია ბანკინგის როლი	5
საქართველოს ელექტრონული კომერციის ბაზარი და ღია ბანკინგის დინამიკა	9
დასკვნა	13
გამოყენებული ლიტერატურა	14

შესავალი

ელექტრონული კომერციის სექტორის დინამიური ზრდა საგადახდო ინფრასტრუქტურის უწყვეტ განვითარებასა და თანამედროვე მოთხოვნებთან სწრაფ ადაპტაციას მოითხოვს.

ტრადიციული საგადახდო ინსტრუმენტების პარალელურად, ღია ბანკინგი აყალიბებს ანგარიშიდან-ანგარიშზე გადახდების ალტერნატიულ არხს, რომელიც მერჩანტსა და მომხმარებელს შორის პირდაპირი და დაცული ციფრული კავშირის დამყარებას უზრუნველყოფს. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს საგადახდო პროცესების ოპტიმიზაციასა და ქმნის საფუძველს ციფრული ეკოსისტემის მდგრადი განვითარებისათვის.

ღია ბანკინგით გადახდის ინიციირების პროცესი

ღია ბანკინგით გადახდის ინიციირება წარმოადგენს პროცესს, რომლის დროსაც გადახდის ინიციირების მომსახურების პროვაიდერი (PISP) მომხმარებლის ნებართვის საფუძველზე აინიციირებს გადახდას უშუალოდ მისი საბანკო ანგარიშიდან. აღნიშნული ოპერაცია ეყრდნობა ანგარიშის მმართველი ფინანსური ინსტიტუტების, კერძოდ კი ბანკების (ASPSP) მიერ შექმნილ უსაფრთხო API-ებს (Application Programming Interface), რაც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცულ გაცვლასა და საგადახდო პროცესის სრულ ინტეგრაციას. ტრანზაქციის ავტორიზაცია ხორციელდება მომხმარებლის მიერ საკუთარ საბანკო გარემოში, კლიენტის ძლიერი ავთენტიფიკაციის (SCA) სტანდარტების შესაბამისად, რაც მნიშვნელოვნად ზრდის საგადახდო ოპერაციების უსაფრთხოების ხარისხს. ბარათის მონაცემების ხელით შეყვანის საჭიროების ნაცვლად, ავტორიზაცია და გადახდის დადასტურება მიმდინარეობს ბანკის უსაფრთხო ციფრულ არხში, რაც ამცირებს არაავტორიზებული წვდომისა და ტექნიკური შეცდომების რისკს.

სქემა 1. ღია ბანკინგით გადახდის ინიციირების პროცესი



აღსანიშნავია, რომ ტრადიციული საბარათე გადახდებისგან განსხვავებით, ტრანზაქციის პროცესში სავაჭრო ობიექტს (მერჩანტს) არ მიეწოდება მომხმარებლის სენსიტიური საგადახდო მონაცემები, რაც სისტემის უსაფრთხოებას განაპირობებს. საგადახდო ჯაჭვის ოპტიმიზაციითა და შუალედური რგოლების შემცირებით, ტრანზაქციის დანახარჯები საგრძნობლად მცირდება. აღნიშნული ფაქტორი დადებითად აისახება როგორც პროდუქტის საბოლოო ღირებულებაზე, ისე სექტორში ჯანსაღი კონკურენციის განვითარებაზე. ამასთან, ანგარიშიდან-ანგარიშზე გადახდების სპეციფიკიდან გამომდინარე, ფულადი სახსრების ასახვა ბიზნესის ანგარიშზე უმოკლეს ვადებში ხორციელდება.

საერთაშორისო გამოცდილება: ელექტრონული კომერციის გამოწვევები და ღია ბანკინგის როლი

საერთაშორისო პრაქტიკა მიუთითებს, რომ ელექტრონულ კომერციაში მომხმარებლის გამოცდილების (UX) სიმარტივე და გადახდების უსაფრთხოება ფუნდამენტურ როლს ასრულებს, როგორც კონვერსიის მაჩვენებლის, ისე რისკების ეფექტიანი მართვის მიმართულებით. პრაქტიკაში, ტრადიციული საგადახდო გარემო ხშირად რამდენიმე სისტემური გამოწვევით ხასიათდება:

- **გადახდის პროცესის სირთულე:**

  საერთაშორისო ინდუსტრიული კვლევების, მათ შორის Baymard Institute-ის 2025 წლის მონაცემებით, ონლაინ კალათის მიტოვების (Cart Abandonment) საშუალო მაჩვენებელი 70%-ს აღემატება[1]. აღნიშნული ტენდენციის ერთ-ერთ მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორად საგადახდო ეტაპის (Checkout) სირთულე და ის ბარიერები სახელდება, რომლებიც მომხმარებლის უწყვეტ ციფრულ გამოცდილებას აფერხებს.

- **თაღლითობის რისკები:**

  EBA-ECB-ის 2025 წლის დეკემბრის ერთობლივი ანგარიშის თანახმად, ევროპის ეკონომიკურ სივრცეში (EEA) გადახდებთან დაკავშირებული თაღლითური ზარალის ღირებულებამ 2024 წელს 4.2 მლრდ ევრო შეადგინა[2]. ზარალის ძირითადი წილი საკრედიტო გადარიცხვებსა და საბარათე ოპერაციებს უკავშირდება.



ამ ფონზე, ღია ბანკინგი განიხილება, როგორც საგადახდო ეკოსისტემის ოპტიმიზაციის პრაქტიკული მექანიზმი: მომხმარებლის თანხმობაზე დაფუძნებული უსაფრთხო API ინტეგრაციითა და კლიენტის ძლიერი ავთენტიფიკაციის (SCA) გამოყენებით, შესაძლებელია გადახდის ინიციირების პროცესის სტანდარტიზაცია, გამარტივება და უსაფრთხოების გაძლიერება.

1. Baymard Institute. (2025). Cart Abandonment Rate Statistics. https://baymard.com/lists/cart-abandonment-rate
2. European Banking Authority (EBA) & European Central Bank (ECB). (2025). 2025 Report on Payment Fraud (EBA/REP/2025/40). https://www.ecb.europa.eu/press/intro/publications/pdf/ecb.ebaecb202512.en.pdf

პარალელურად, ანგარიშიდან-ანგარიშზე გადახდების განვითარება ქმნის დამატებით შესაძლებლობას მერჩანტებისთვის - საგადახდო არხების დივერსიფიკაციის, საოპერაციო პროცესების ეფექტიანობისა და მომხმარებლის გამოცდილების გაუმჯობესების მიმართულებით, არსებული საგადახდო ინსტრუმენტების პარალელურად.

ღია ბანკინგის პრაქტიკულ ზრდასა და მასშტაბურობას ადასტურებს გაერთიანებული სამეფოს (UK) გამოცდილებაც. Open Banking Limited-ის (OBL) მონაცემებით, 2025 წელს ღია ბანკინგის მეშვეობით ინიციირებულმა გადახდებმა UK-ში 351 მილიონ ტრანზაქციას მიაღწია, რაც წინა წელთან შედარებით 57%-იან ზრდას წარმოადგენს[1]. 2026 წლის იანვრის თვეში ღია ბანკინგით 36.04 მილიონი გადახდის ინიციირება განხორციელდა, რაც წინა თვესთან შედარებით 4.3%-იან ზრდას წარმოადგენს.

2025 წლის მონაცემებით, ქვეყნის 69.5 მილიონიანი მოსახლეობის[2] ფონზე, ეკოსისტემაში 17.51 მილიონი მომხმარებლის აქტიური გამოყენება (User Connections) ფიქსირდება, რაც ტექნოლოგიის მაღალ პენეტრაციაზე მეტყველებს აღსანიშნავია ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის მაღალი საიმედოობაც (გადახდების მზარდი მოცულობის ფონზე, ღია ბანკინგის API-ს ხელმისაწვდომობამ 99.99% შეადგინა, ხოლო პასუხის საშუალო დრომ (Average Response Time) 325 მილიწამი[3]). სისტემა უზრუნველყოფს მომხმარებლის სწრაფ, უწყვეტ და საიმედო ციფრულ გამოცდილებას.

351 მლნ

2025 წელს ღია ბანკინგის მეშვეობით ინიციირებულმა გადახდებმა UK-ში 351 მილიონ ტრანზაქციას მიაღწია

+57%

2025 წელს წინა წელთან შედარებით ტრანზაქციების რაოდენობა 57%--ით გაიზარდა.

+99.99%

ღია ბანკინგის API-ს ხელმისაწვდომობამ 99.99% შეადგინა.

17.51 მლნ

2025 წელს UK-ში 17.51 მილიონი მომხმარებლის ღია ბანკინგის სერვისების აქტიური გამოყენება (User Connections) ფიქსირდება.

1. Open Banking Ltd (OBL). (2025). Open banking in 2025: now part of the UK's everyday financial life. https://www.openbanking.org.uk/insights/open-banking-in-2025-now-part-of-the-uks-everyday-financial-life/
2. Office for National Statistics (ONS). https://www.ons.gov.uk/
3. Open Banking Ltd (OBL), API Performance Stats. https://www.openbanking.org.uk/api-performance/

ამ ტრანსფორმაციის ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალა ცვლადი განმეორებადი გადახდების (VRP) განვითარებაა, რომელიც დღეს ღია ბანკინგის ტრანზაქციების დაახლოებით 16%-ს შეადგენს. აღნიშნული ტექნოლოგია მომხმარებლებსა და ბიზნესებს საშუალებას აძლევს, ისარგებლონ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული, მოქნილი და ავტომატიზებული გადახდებით. ტრადიციული პირდაპირი დებეტისგან (Direct Debit) განსხვავებით, VRP მომხმარებლებს საკუთარ ფინანსებზე უფრო ეფექტიანი კონტროლის შესაძლებლობას აძლევს.





ღია ბანკინგის ტრანზაქციებში VRP-ის წილი

UK Payments Initiative – UKPI

2025 წელს გაერთიანებულ სამეფოში ანგარიშიდან-ანგარიშზე უწყვეტი გადახდების[1] განვითარება ერთ-ერთ მთავარ სტრატეგიულ პრიორიტეტად განისაზღვრა. ინდუსტრიის წარმომადგენლებთან მჭიდრო თანამშრომლობამ აღნიშნული მიმართულებით ინოვაციების დაჩქარებასა და მნიშვნელოვანი პრაქტიკული პროგრესის მიღწევას შეუწყო ხელი. 2025 წლის ბოლოს, VRP-ის მასშტაბური დანერგვის მიზნით, 31 ორგანიზაციის მონაწილეობით დაფუძნდა ახალი კომპანია - „გაერთიანებული სამეფოს საგადახდო ინიციატივა“ (UK Payments Initiative – UKPI). პარალელურად ბაზრის დინამიკა სულ უფრო მზარდია, რადგან სხვა ორგანიზაციებიც აქტიურად ავითარებენ საკუთარ VRP სქემებს. UKPI სქემის ფარგლებში პირველი აქტიური (Live) გადახდები 2026 წლის პირველ კვარტალში იგეგმება, რაც გაერთიანებულ სამეფოში გადახდებისა და ღია ბანკინგის ახალი ეპოქის დასაწყისს წარმოადგენს[2]. ელექტრონული კომერციის ჭრილში, cVRP რადიკალურად ცვლის მომხმარებლის გამოცდილებას (UX). ის ქმნის იდეალურ ტექნოლოგიურ ბაზას ონლაინ გამოწერების (Subscriptions), ციფრული სერვისების ავტომატური განახლებისა და ე.წ. „ერთკლიკიანი“ (One-click checkout) ანგარიშსწორებისთვის.

1. უწყვეტი გადახდები - გულისხმობს შუამავალი რგოლების (მაგალითად, საბარათე ქსელების) ჩართულობის გარეშე, თანხის პირდაპირ და შეუფერხებლად ერთი საბანკო ანგარიშიდან მეორეზე გადარიცხვას.

2. Financial Conduct Authority (FCA). (2025). Open banking in 2025: progress. https://www.fca.org.uk/news/news-stories/open-banking-2025-progress

ეს მექანიზმი მერჩანტებს საშუალებას აძლევს, მინიმუმამდე დაიყვანონ ონლაინ კალათის მიტოვების (Cart Abandonment) მაჩვენებელი და მომხმარებელს შესთავაზონ სრულიად უწყვეტი ციფრული გამოცდილება.

UK-ში ელექტრონული კომერცია ტექნოლოგიის ინტეგრაციის ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად მზარდ მიმართულებას წარმოადგენს. ტექნოლოგიის მასობრივი ათვისების მაღალ ტემპზე მეტყველებს ბაზრის წამყვანი მოთამაშეების მაჩვენებლებიც - მაგალითად, ევროპის უმსხვილესი ღია ბანკინგის პროვაიდერის, TrueLayer-ის ქსელში აქტიურ მომხმარებელთა რაოდენობამ 20 მილიონს მიაღწია[1], სადაც სისტემას ყოველ 3 წამში ერთი ახალი მომხმარებელი ემატება[2]. კომპანია, გაერთიანებულ სამეფოში ანგარიშიდან-ანგარიშზე (Pay by Bank) გადახდების 40%-ზე მეტს ემსახურება (Based on OBIE data from December 2024).

სქემა 2. ღია ბანკინგით გადახდის ინიციირების პროცესი (TrueLayer-ის მაგალითზე[3]):



აღსანიშნავია, რომ ღია ბანკინგით გადახდის ინიციირების პროცესი საშუალოდ 30 წამს გრძელდება.

---

1. TrueLayer. (2025, July 10). TrueLayer hits 20 million users. TrueLayer Newsroom. https://truelayer.com/newsroom/announcements/truelayer-hits-20-million-users/

2. TrueLayer. (2023, March 30). TrueLayer hits 10 million consumers, acquiring a new user every 3 seconds. TrueLayer Blog. https://truelayer.com/blog/announcements/truelayer-hits-10-million-consumers-acquiring-a-new-user-every-3-seconds/

3. TrueLayer. What is Pay by Bank? https://truelayer.com/blog/payments/what-is-pay-by-bank/

საქართველოს ელექტრონული კომერციის ბაზარი და ღია ბანკინგის დინამიკა

საქართველოს ელექტრონული კომერციის ბაზარი სტაბილური ზრდით ხასიათდება, თუმცა 2019 წლის ნიშნული საკმაოდ დაბალი იყო. ეს ტენდენცია განსაკუთრებით ნათლად ჩანს საცალო ვაჭრობის სექტორში, სადაც ელ-კომერცია ეტაპობრივად ზრდის საბაზრო წილს - 2018 წლის 1.9%-დან 8%-მდე 2025 წლის პირველ ნახევარში. 2018-2024 წლებში ბაზარი 10-ჯერ გაიზარდა და 3.5 მლრდ ლარს მიაღწია, საიდანაც 60.9% (2.1 მლრდ ლარი) ადგილობრივ ბაზარზე მოდიოდა. 2025 წლის პირველ ნახევარში ბაზრის ჯამურმა მოცულობამ 2.1 მლრდ ლარი შეადგინა, რაც წლიური 40.6%-იანი ზრდაა.

ელ-კომერციის ბაზრის ძირითადი მაჩვენებლები:



ბაზრის გაფართოებასთან ერთად მოიმატა ონლაინ მყიდველთა რაოდენობამაც - 2018-2025 წლებში 0.6 მლნ-დან 1.0 მლნ ადამიანამდე, ხოლო ონლაინ გაყიდვების განმახორციელებელი ქართული კომპანიების რაოდენობამ 2025 წელს 10 ათასს გადააჭარბა (Galt & Taggart-ის კვლევა). მიუხედავად ბაზრის ამგვარი დინამიური გაფართოებისა, ადგილობრივი სექტორის სრულფასოვან განვითარებას კვლავ აფერხებს მერჩანტის ექვაირინგ პროცესზე დაწესებული მაღალი საკომისიო. ისტორიულად, საცალო ვაჭრობის ძირითადი წილი ფიზიკურ ობიექტებზე მოდიოდა. ტრანზაქციების ციფრულ სივრცეში მიგრაციის პარალელურად კი, ტრადიციული საგადახდო არხების მაღალი ტარიფები ნეგატიურად აისახება მერჩანტის მოგების მარჟაზე და, რიგ შემთხვევებში, საფრთხეს უქმნის ბიზნესის რენტაბელობას. სწორედ აქ იკვეთება ღია ბანკინგის კრიტიკული როლი, რადგან საგადახდო ჯაჭვში შუალედური რგოლების შემცირებით, ტრანზაქციის ხარჯები მინიმუმამდე დაჰყავს. Galt & Taggart-ს კვლევა აჩვენებს, რომ საქართველო ონლაინ მოვაჭრეთა კუთხით კვლავ ჩამორჩება ევროკავშირის მაჩვენებელს. 2024 წელს, ელ-კომერციაში ჩართული კომპანიების წილი საქართველოში მხოლოდ 4.0% იყო, მაშინ როცა ევროკავშირში[1]

1. Galt & Taggart. (2025, December 29). Sector Research: E-commerce Sector in Georgia. GEO-E-commerce-sector-in-Georgia_Report.pdf

ეს მაჩვენებელი 20.6%-ს აღწევს. მსხვილი კომპანიების შემთხვევაში ეს სხვაობა მნიშვნელოვნად მცირდება (საქართველო - 26.6%, ევროკავშირი - 31.4%), რაც ცალსახად მიუთითებს, რომ ზრდის უდიდესი პოტენციალი სწორედ მცირე და საშუალო ზომის (SME) კომპანიებშია. ღია ბანკინგი და მისი სტანდარტიზებული API-ები სწორედ მცირე ბიზნესებს აძლევს უპირატესობას, ტრადიციული ექვაირინგის მაღალი ფინანსური ბარიერების გარეშე, მარტივად ჩაერთონ ონლაინ ვაჭრობაში.

ამ კონტექსტში საყურადღებოა Galt & Taggart-ის მიერ იდენტიფიცირებული ბაზარზე წარმატების ოთხი ძირითადი ფაქტორი: ფასი, ასორტიმენტი, მომხმარებლის გამოცდილება (UX) და მიწოდების სისწრაფე. ღია ბანკინგი ამ ჯაჭვში მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რადგან ის პირდაპირ აუმჯობესებს ორ უმთავრეს კომპონენტს. პირველ რიგში, შემცირებული სატრანზაქციო დანახარჯების შედეგად მერჩანტებს უჩნდებათ რესურსი, შესთავაზონ მომხმარებელს კონკურენტული ფასი. ეს ფაქტორი კრიტიკულია ფიზიკურ ვაჭრობასა და ელექტრონულ კომერციას შორის კონკურენციის თვალსაზრისით, რადგან ტრანზაქციებზე დაწესებული მაღალი საკომისიოები ონლაინ პლატფორმებს ფიზიკურ სავაჭრო ობიექტებთან მიმართებით მნიშვნელოვან ბარიერს უქმნის. მეორე მხრივ, ღია ბანკინგით ინიციირებული გადახდები, ბარათის მონაცემების ხელით შეყვანის საჭიროების გარეშე, უზრუნველყოფს საუკეთესო და უწყვეტ ციფრულ გამოცდილებას (UX).

საქართველოს ეროვნული ბანკის 2024 წლის მონაცემებით, 15+ ასაკის მოსახლეობის 98.8%-ს აქვს საბანკო ანგარიში, მაშინ როდესაც, Galt & Taggart-ის კვლევის თანახმად, სადებეტო ბარათების ფლობის მაჩვენებელი იმავე წელს 64.0%-ს შეადგენდა[1]. გარდა საბანკო ანგარიშის საყოველთაო ხელმისაწვდომობისა, აღსანიშნავია, რომ ინოვაციური საგადახდო მექანიზმების წარმატებით დასანერგად ქვეყანაში უკვე არსებობს მყარი ციფრული და ფინანსური ფუნდამენტი. კერძოდ:



ინტერნეტის ხელმისაწვდომობა:

- 2025 წლის მონაცემებით, მოსახლეობის 92.0%-ს აქვს წვდომა ინტერნეტზე, რაც აღემატება მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელს (79.8%).



სმარტფონების მოხმარება:

- 6 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობის 89.3% იყენებს სმარტფონს, რაც 2019 წლის 69.6%-თან შედარებით მნიშვნელოვანი ზრდაა.

1. Galt & Taggart. (2025, December 29). Sector Research: E-commerce Sector in Georgia. GEO-E-commerce-sector-in-Georgia_Report.pdf

საქართველოში აქტიური მომხმარებლების უმეტესობა (64%) სარგებლობს ციფრული გადახდების ინსტრუმენტებით, თუმცა ონლაინ პლატფორმების 90% მომხმარებელს დამატებით სთავაზობს ნაღდი ფულით ანგარიშსწორებას (Cash on Delivery). ეს ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ მოსახლეობის ნაწილს არ აქვს ბარათი, ან სკეპტიკურადაა განწყობილი ონლაინ სივრცეში მონაცემების გაზიარების მიმართ[1]. ეს ოფცია ელ-კომერციის კომპანიებისთვის დამატებითი ხარჯია. აღნიშნული მოცემულობა მკაფიოდ უსვამს ხაზს ღია ბანკინგის, კერძოდ კი გადახდის ინიციირების სერვისის (PIS) სტრატეგიულ მნიშვნელობას. იგი მომხმარებელს შესაძლებლობას აძლევს, განახორციელოს ანგარიშსწორება ელექტრონულ კომერციაში უშუალოდ საბანკო ანგარიშის გამოყენებით, ფიზიკური ბარათის ფლობის საჭიროების გარეშე, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ფინანსურ ინკლუზიურობას.

ახალი საგადახდო არხის მიმართ ბაზრის მზაობასა და ღია ბანკინგის გადახდის ინიციირების სერვისის აქტიურ ათვისებაზე ნათლად მეტყველებს უახლესი სტატისტიკური მაჩვენებლებიც. კერძოდ, ბოლო 10 თვის განმავლობაში შესრულებულია 397,188 ტრანზაქცია, რომელთა საერთო ღირებულება 40 მილიონ ლარს აღემატება[2]. ამასთან, ღია ბანკინგის იმპლემენტაციის პროცესში ელექტრონული კომერცია წამყვან სექტორად ჩამოყალიბდა – გადახდის ინიციირების საერთო რაოდენობის 54.8% სწორედ ონლაინ გაყიდვების ტრანზაქციებზე მოდის.

დიაგრამა 1. ღია ბანკინგის საშუალებით გადახდის ინიციირების სერვისის ტრანზაქციების რაოდენობა ციფრულ არხებში



1. Galt & Taggart. (2025, December 29). Sector Research: E-commerce Sector in Georgia. GEO-E-commerce-sector-in-Georgia_Report.pdf
2. National Bank of Georgia (NBG). (2026). Internal statistical data (Unpublished)

დიაგრამა 2. ღია ბანკინგის საშუალებით გადახდის ინიციირების სერვისის ტრანზაქციების მოცულობა (ლარი) ციფრულ არხებში

ეს მაჩვენებლები ნათლად ასახავს სექტორის მზაობას საგადახდო ინსტრუმენტების დივერსიფიკაციის მიმართულებით. ბაზრის განვითარების პროგნოზი კიდევ უფრო ოპტიმისტურია: Galt & Taggart-ის მოლოდინით, 2030 წლისთვის საქართველოს ელ-კომერციის მოცულობა 10.7 მლრდ ლარს მიაღწევს. ამასთან, ევროკავშირის დინამიკის მსგავსად, საცალო ვაჭრობის ბრუნვაში ელ-კომერციის წილი 2030 წლისთვის 13%-მდე მოიმატებს (2025 წლის პირველი ნახევრის 8.0%-იან მაჩვენებელთან შედარებით[1]). ამ პროგნოზირებული ზრდის სრულად რეალიზებისა და ტრანზაქციების დინამიკის კიდევ უფრო დასაჩქარებლად, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება მყისიერი გადახდების (Instant Payments) სისტემის დანერგვასა და ღია ბანკინგთან ინტეგრაციას, რაც 2026 წლის მეორე ნახევარში იგეგმება. თუ დღეს საბარათე ოპერაციების განხორციელებას გარკვეული დრო სჭირდება, მყისიერი გადახდების ამოქმედება უზრუნველყოფს ფულადი სახსრების მერჩანტის ანგარიშზე 24/7 რეჟიმში ასახვას. მყისიერი გადახდებისა და ღია ბანკინგის ტექნოლოგიური სინერგია მაქსიმალურად გაამარტივებს ანგარიშსწორების პროცესს და ბიზნესს მომენტალური ლიკვიდობით უზრუნველყოფს. ამასთან, ის შექმნის ახალ, მძლავრ ჩარჩოს (Framework) ბაზარზე მოწინავე ინსტრუმენტების განსავითარებლად. აღნიშნული ეკოსისტემა საფუძველს ჩაუყრის ისეთი ინოვაციური შემთხვევების (Use Cases) განვითარებას, როგორიცაა გადახდის მოთხოვნა (Request to Pay), ცვლადი განმეორებადი გადახდები (Variable Recurring Payments / VRP), ციფრული ონბორდინგი და სხვა., რაც, საბოლოო ჯამში, მნიშვნელოვნად გაზრდის ციფრული ტრანზაქციების მოცულობას ბაზარზე.

1. Galt & Taggart. (2025, December 29). Sector Research: E-commerce Sector in Georgia. GEO-E-commerce-sector-in-Georgia_Report.pdf

გაერთიანებული სამეფოს გამოცდილების გათვალისწინებით, საქართველოში არსებული საგადახდო და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა ქმნის მყარ საფუძველს კომერციული ცვლადი განმეორებადი გადახდების (cVRP) ეფექტიანი განვითარებისათვის. აღნიშნული მოდელის დანერგვა მნიშვნელოვნად განავითარებს ადგილობრივი ბაზრის შესაძლებლობებს, ხელს შეუწყობს საგადახდო პროცესების შემდგომ ოპტიმიზაციას და ელექტრონულ კომერციაში განმეორებადი გადახდების უსაფრთხო და თანამედროვე ტექნოლოგიურ სტანდარტებს კიდევ უფრო გაამყარებს.



დასკვნა

ღია ბანკინგი აღარ არის მხოლოდ ტექნოლოგიური სიახლე, ის ელექტრონული კომერციის შემდგომი განვითარების სტრატეგიული ინსტრუმენტია. არსებული პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ტრადიციული საგადახდო სისტემების თანმდევი გამოწვევები მოითხოვს ფუნდამენტურად ახალ მიდგომებს. ამ ფონზე, უსაფრთხო API-ინტეგრაციასა და კლიენტის ძლიერ ავთენტიფიკაციაზე (SCA) დაფუძნებული ანგარიშიდან-ანგარიშზე გადახდები ბიზნესს სთავაზობს საოპერაციო ხარჯების ოპტიმიზაციას, ხოლო მომხმარებელს უსაფრთხო და უწყვეტ ციფრულ გამოცდილებას.

საქართველოს მაგალითი ნათლად აჩვენებს ფინანსური ინკლუზიურობისა და საგადახდო ინსტრუმენტების დივერსიფიკაციის აუცილებლობას. გადახდის ინიციირების სერვისების (PIS) მზარდი დინამიკა ციფრულ არხებში ადასტურებს, რომ ბაზარი მზად არის ინოვაციური მოდელების ასათვისებლად და არსებული პოტენციალის სრულად რეალიზებისთვის.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დანერგილი ღია ბანკინგის ჩარჩო სწორედ იმ მყარ ფუნდამენტს ქმნის, რომელიც უზრუნველყოფს ტექნოლოგიური პროგრესისა და უსაფრთხოების ბალანსს. ახალი საგადახდო ეკოსისტემის ფორმირება ხელს უწყობს კონკურენციის წახალისებას, ელექტრონული კომერციის ბაზრის ეფექტიანობის ზრდას და საბოლოო ჯამში, ქვეყნის ციფრული ეკონომიკის უსაფრთხო, მდგრად და თანმიმდევრულ განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

National Bank of Georgia. (2026). Open Banking Statistics. https://nbg.gov.ge/page/ghia-bankingis-statistika.

Galt & Taggart. (2025, December 29). Sector Research: E-commerce Sector in Georgia. GEO-E-commerce-sector-in-Georgia_Report.pdf

Baymard Institute, "49 Cart Abandonment Rate Statistics 2025." https://baymard.com/lists/cart-abandonment-rate

European Banking Authority (EBA) & European Central Bank (ECB). (2025, December). 2025 Report on Payment Fraud (EBA/REP/2025/40). https://www.ecb.europa.eu/press/intro/publications/pdf/ecb.ebaecb202512.en.pdf

Financial Conduct Authority (FCA). (2025, December 16). Open banking: a year of progress. https://www.fca.org.uk/news/news-stories/open-banking-2025-progress

Payment Systems Regulator (PSR). (2025, December). cVRP update on delivery. https://www.psr.org.uk/media/xgjcblmb/cvrp-update-on-delivery-_-dec-2025.pdf

Open Banking Limited. (2026). API Performance and Monthly Data. https://www.openbanking.org.uk/api-performance/

Open Banking Limited. (2025, January 21). Open banking in 2025 – now part of the UK's everyday financial life. Open Banking Insights. https://www.openbanking.org.uk/insights/open-banking-in-2025-now-part-of-the-uks-everyday-financial-life/

TrueLayer. What is Pay by Bank? https://truelayer.com/blog/payments/what-is-pay-by-bank/

TrueLayer. (2025, July 10). TrueLayer hits 20 million users. TrueLayer Newsroom. https://truelayer.com/newsroom/announcements/truelayer-hits-20-million-users/

TrueLayer. (2023, March 30). TrueLayer hits 10 million consumers, acquiring a new user every 3 seconds. TrueLayer Blog. https://truelayer.com/blog/announcements/truelayer-hits-10-million-consumers-acquiring-a-new-user-every-3-seconds/

Office for National Statistics (ONS). (2025). https://www.ons.gov.uk/

საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

საქართველო, თბილისი, გია გულუას ქ. N2

ფინანსური და საზედამხედველო ტექნოლოგიების განვითარების დეპარტამენტი

OB@nbg.gov.ge

www.nbg.gov.ge